განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

22/05/2026

MES 0 26 0000606870

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში 2026 წლის 13 მაისს საგარეო საქმეთა სამინისტროდან შემოვიდა ინფორმაცია სულთან ყაბუსის უნივერსიტეტის მიერ (Sultan Qaboos University) საქართველოს მოქალაქეებისთვის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე გამოცხადებული სასტიპენდიო პროგრამების შესახებ. პროგრამის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნებს შორის აკადემიური და კულტურული კავშირების გაღრმავება, აგრეთვე სამეცნიერო თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობა.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის, მიღების პირობებისა და ვადების შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.squ.edu.om/ps.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი განათლების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
შუხოშვილი მაია

ელექტრონული ხელმოწერა
შტამპიანი